KA990166492892019

2033/09 13 / აგვისტო / 2019 წ.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ზურაბ სეხნიაშვილს
დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი
მოწყობის,ინფრასტრუქტურის განვითარების,
არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებლის
(კონკურსამდე) იოსებ ღარიბაშვილის

**მოხსენებითი ბარათი**

ბატონო ზურაბ,

მოგახსენებთ, რომ შპს ,,ცივწყარო“-მ (დირექტორი თამაზ ბედუკაძე) 2019 წლის 26 ივნისის № 242 ხელშეკრულების საფუძველზე დაასრულა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ქვეშეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ არახვეთში თავშეყრის მოწყობის სამუშაოები. (მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 26 ივლისის ჩათვლით, ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).

შპს ,,ცივწყარო“-ს დირექციამ განცხადებით (N3598 26.07.2019 წ.) წარმოადგინა შესრულებული სამუშაოების ფორმა №2-ი (აქტი №1 26.07.2019 წ.).

გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილების (N121 27.07.2019 წ.) პირველი მუხლის მე-4-ე პუნქტის თანახმად ,,ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-3 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის მოქმედება არ ვრცელდება მუნიციპალიტეტის მიერ იმ სამშენებლო სამუშაოების გამარტივებულ შესყიდვაზე, რომლის ღირებულება არ აღემატება 40 000 ლარს. იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტის მიერ სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის ღირებულება არ აღემატება 40 000 ლარს, შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეულის ფასების მიხედვით“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2019 წლის N1143/ს ბრძანების საფუძველზე აღნიშნული სამუშაოები შემოწმებული იქნა და შეესაბამება ფორმა N2-ს და გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

გთხოვთ, დაავალოთ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს შემდგომი რეაგირებისათვის.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სივრცითი მოწყობის,ინფრასტრუქტურის
განვითარების, არქიტექტურისა და
მშენებლობის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

იოსებ ღარიბაშვილი